ქ. წალენჯიხა 9 თებერვალი 2022 წ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგგარეშე სხდომის ოქმი

2022 წლის 9 თებერვალს, 14:00 საათზე გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსსაფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია, ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია, გონერ კვარაცხელია,ბაჩანა ქანთარია, ირაკლი სალია, ომარ ქარდავა; ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თვმჯდომარე მამუკა მიქავა, ფარქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდი გაბელია, მოადგილე გიორგი დარსალია, საკრებულოს წევრები: გელა აბულაძე, თემურ ქარდავა, მერიის წარმომადგენლები: მერის პირველი მოადგილე ლაშა ზარქუა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია და მოქალაქეები.

დღის წესრიგი:

1„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/ მომხსენებელი-თეა სარია/

2.სხვადასხვა

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. მან სხდომას გააცნო„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

კომისიის წევრებმა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წამოაყენეს შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ- მიიჩნია, რომ აუცილებელია მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით, აისახოს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია სოციალურ პაკეტში. ასევე გადასახედია ომის ვეტერანთა სოციალური პროგრამა, აუცილებელია იგი ვეტერანთა უფრო ფართო წრეს მოიცავდეს.

ფრაქციის თავმჯდომარე გონერ კვარაცხელიამ-მიიჩნია, რომ ბიუჯეტის ამ ცვლილებაში არ ასახულა წინა სხდომაზე განხილული შენიშვნები და წინადადებები. მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების დაფინანსების პროგრამის შემოღების აუცილებლობის შესახებ. გონერ კვარაცხელიამ და საკრებულოს წევრმა გელა აბულაძემ სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში 240000 ლარის ხარჯვა არა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ვინაიდან არ არის 2022წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დამტკიცებული მთავრობის მიერ. რაშიც არ დაეთანხმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია და მერის პირველი მოადგილე ლაშა ზარქუა.

კომისიამ გადაწყვეტილების მიღებამდე სხდომა გადადო. სხდომა გაგრძელდება 10 თებერვალს 11:00 საათზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე / ბაჩანა ქანთარია/